მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 22 **1883—1897** 30 ნოემბერი

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თთვით	3 მან.	12 თთვით	5 მან.
6 —	2 —	6 —	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც დ᾽ თარგმნით დაიბეჭდებიან.

მოკლე ანგარიში რედაქციისაგან.

წელს, პირველ ოქტომბერს, სწორეთ თხუთმეტი წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენი გამოცემა „მწყემსი“ არსებობს. თხუთმეტი წელიწადი, მაინც და მაინც, დიდი დრო არ არის, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ აურაცხელ დამაბრკოლებელ მიზეზთა, რომელნიც წინ ეღობებიან ყოველ კეთილ საქმეს და განსაკუთრებით სალიტერატურო ასპარეზზე მუშაკთა, მაშინ ყველასათვის ცხადი იქნება, რომ ეს ხანა არც ისე მცირეა, როგორც კაცს, ერთის შეხედვით, ეგონება. ამ მცირე დროში მრავალი ჯავრი და მწუხარება მოგვდგომია... მაგრამ ყველა ამ ჭირთა და განსაცდელთა მოთხრობა ძლიერ შორს წაგვიყვანს და ამიტომ მათზე აღარას ვიტყვით, ძით ნამეტურ, რომ ამ დაბრკოლებათა შესახებ ჩვენ თავ-თა-

ვის დროზე გამოგვითქვამს ხოლმე ჩვენი აზრი ჩვენს გამოცემაში. ამას გარდა ეოველი შეგნებული კაცი უთქმელადაც მიხვდება ჩვენი საქმის მდგომარეობას..

დღეს ჩვენ გვსურს მოკლე ანგარიში მივცეთ მკითხველთა, რომელთაც ჯერ კიდევ კარგად არა აქვსთ შეგნებული მიზანი ჩვენი გამოცემისა და გვსურს შევატყობინოთ, თუ რა იყო მიზეზი ჩვენი ორგანოს დაარსებისა, რას მიესწრაფებოდა, ან დღეს რას ელტვის იგი? ამ მოკლე ანგარიშიდან მკითხველი ცხადათ დარწმუნდება, თუ კი იგი სხვას ფიქრობდა და არა მას, რასაც ჩვენ ვფიქრობდით და ან დღეს ვფიქრობთ ჩვენი გამოცემის შესახებ.

1866 წლიდგან ჩვენს ლიტერატურას გულ მოდგინეთ ეურს ვადევნებდი და ცხოვრებაში გამოსვლის შემდეგ მაინც განსაკუთრებით. ჩვენს გულს მოსვენება არა ჰქონდა იმის გამო, რომ ჩვენს მხარეში არავითარი სასულიერო გამოცემა არ არსებობდა. მრავალი ვეცადე, რომ ეს ნაკლი როგორიმე გზით საერო ეურნალ-გაზეთებს შევსოთ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, საერო ეურნალ-გაზეთებმა ძლიერ ცუდი აზრი შეადგინეს ჩვენს სამღვდელოებაზე და ხშირად დიდის აღტაცებით ბეჭდავდნენ მარტო სასულიერო წოდების გასაკიცხავ ამბებს, ხოლო ამავე წოდების საქებ და სადიდებელ მხარეებზე ხმას არ იღებდენ. რაიცა შეეხება, რომ ხალხისთვის მიეწოდებინათ რელიგიური და ზნეობრივი საზრდო, ამაზე მაშინ სრულებით არ ფიქრობდენ და მრავალი მათგანი არც დღეს ფიქრობს. აი ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ განვიზრახეთ სასულიერო ორგანოს დაარსება იმ პროგრამით, რომელიც ჩვენმა მკითხველებმა კარგად უწეიან. ვმადლობთ ღმერთს და იმ დროის სასულიერო მართებლობას, რომელმაც ნება დართო ჩვენი სურვილის აღსრულებას..

ჩვენ კარგად ვიცოდით ეპარქიალურ გამოცემათა მნიშვნელობა და ამისათვის არ გვსურდა, რომ ჩვენი გამოცემა როდესმე სამღვდელოებისათვის საეალდებულო გამოცემად გამხდარიეო და ამისათვის ეს ჩვენი სურვილი ჩვენსავე გაზეთის გამოცემის შესახებ შეტანილ თხოვნაში გამოვაცხადეთ. 1885 წელს მთავრობის მხრით მოხდა განკარგულება, რომ ქართლისა და კახეთის ეპარქიაში ჩვენი გამოცემა ეოველ ეკკლესიას გამოეწერა საეკკლესიო ფულით. და ბოლოს სინოდალნი კანტორამ ვალად დაუდგინა საექსარხოსოის ეველა ბლაღოჩინებს, რომ მათ მათდამი რწმუნებული ეკკლესიების რიცხვისამებრ გამოეწერათ «მწყემსი» რუსული გამოცემის დამატებით, მაგრამ ჩვენც ვალდებული გაგვხადეს, რომ სასულიერო მთავრობის ეოველ გვარი აფიციალური ცნობები რუსულს და ქართულს ენაზე გვებეჭდა ჩვენს გამოცემაში. მთავრობის მოთხოვნილებას ჩვენ დიდის სიამოვნებით ვასრულებდით, მაგრამ რაიცა შეეხება, რომ ეოველ ეკკლესიას გამოეწერა ჩვენი ეურნალი, ეს ეოვლად შეუძლებელი შეიქნა. ამის მიზეზი იყო უკიდურესი სიღარიბე ჩვენი ეკკლესიებისა და ჩვენი სამღვდელოების უმეტესი ნაწილისა. სინოდალნი კანტორას ხშირად მიდიოდა განცხადება, რომ მეტრიკის და აღსარების სიის ბლანკები უფულოთ დაეთმოთ ზოგიერთ ეკკლესიებისათვის, რადგან ეკკლესიებში ამ ბლანკების საეიდი ფული არ მოიძებნებოდა. ჩვენ როგორ შეგვეძლო, რომ ასეთი ღარიბი ეკკლესიებისათვის

მოგვეთხოვა, რომ ჩვენი გამოცემა გამოეწერათ. ჟურნალის გამოწერა არა თუ თითოეულ ეკკლესიას, მთელი საექსარხოსოის ეკკლესიების ერთ მესამედსაც კი ეძნელებოდა. და თუ რამდენი ფული შერჩათ გაგზავნილი ჟურნალებისა ბლაღოჩინებს, ამას კარგად დაამოწმებენ ბლაღოჩინები: ზუმბულიძე, ედილოვი, ჩილიაევი, ბენაევი, ალიბაია, ასათიანი, კეკელია, გოშუა და ყველას ან კი ვინ მოიგონებს ეხლა. არა მიმხედველი ამისთანა საქმის მდგომარეობისა, ჩვენ მაინც ეოველივე ღონისძიებას ვხმარობდით, რომ ყველასთვის მიგვეცა საშუალება ჟურნალის წაკითხვისა. ჟურნალის თითო ცალს ბლაღოჩინებს უგზავნიდით მუქთად, რომ ყველა მსურველს შეძლებოდა წაკითხვა. ბევრ ღარიბთ სულ მუქდად ეგზავნებოდათ ჟურნალი.

1890 წელს საექსარხოსოში დაარსეს რუსულს ენაზე ეპარქიალური გამოცემა სახელად «საექსარხოსოის სასულიერო მოამბე», რომელშიაც მარტო ოფიციალური ნაწილი, იბეჭდება ქართულად. ამ ორგანოს გამოწერა სავალდებულოა ეოველი ეკკლესიისათვის მთელს საექსარხოსოში. თუ ჩვენ გამოცემას მაშინაც არ იწერდენ ეკკლესიები, როცა იგი სავალდებულო იეო, „საექსარხოსოის მოამბის“ გამოცემის შემდეგ ვინღა გამოიწერდა ჩვენ გამოცემას და ამიტომ ჟურნალის გამოცემა უნდა მოგვესპო. მაგრამ, მადლობა ღმერთს, თანამგრძნობლები ჩვენს ჟურნალს როგორც წინეთ იუე სავალდებულო მეორე ჟურნალის დაარსების შემდეგაც არ მოჰკლებია. სასიხარულოდ, ჩვენ მესამედ ნაწილს ხელის მომწერლებისას შეადგენენ ერის კაცები.

მართალია რუსული ენა ჩვენში ძლიერ ვრცელდება, მაგრამ ჩვენი სამღვდელოების ნამეტანმა ნაწილმა ჯერ კიდევ არ იცის რუსული ენა ისე, რომ მასზე გაზეთები წაიკითხოს. უწმიდესი სინოდის გამოცემა „საეკკლესიო უწყებანი“ ხომ შვენიერი ჟურნალია და ფრიად სასარგებლო საკითხავი ჩვენი სამღვდელოებისათვის, ამასთან ყველასთვის საგალდებულო, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ იმერეთის და სამეგრელოს ეპარქიებში ეკკლესიების ერთი მესამედიც არ იწერს ამ სასარგებლო და სავალდებულო ჟურნალს. მიზეზი ამისი არის სიღარიბე ეკკლესიებისა და ენის უცოდინარობა. სამღვდელოების მხრით „საეკკლესიო უწყებათა“ რედაქციამ შეიწყნარა ეს მიზეზები და ჟურნალი იგზავნება მარტო იმ ეკკლესიებზე, რომელთაც შეძლება აქვსთ და რომელთა კრებულს ესმის რუსული...

მაგრამ, რომ ენის უცოდინარობისა გამო ჩვენმა სამღვდელოებამ თავი გაანებოს სხვა-დასხვა ზნეობრივ საკითხავებს, საუბრებს და არ ეცადოს თავის განვითარებას და ხალხის საკითხავებიც და საუბრებიც სრულებით მოსპოს, არც ეს მიეტევება. თუ სამღვდელოებას ან არ შეუძლია ან და დრო არა აქვს ამისთანა საკითხავების და საუბრების თარგმნისა, ჩვენ მზათ ვართ როგორც ამ წელში იუე შემდეგშიაც ჩვენი ორგანოს საშუალებით მივაწოდოთ სამღვდელოებას და საზოგადოებას ზნეობრივი საუბრები და საკითხავები, რომელთა შემწეობით ყველა მოძღვარს ადვილათ შეეძლება თავის საქმეს გაუმართოს საკითხავები და საუბრები. ამასთან სამი მანეთიც იუე საძნელო გარდასახადი არ არის, რომ მღვდელმა ეს ფული თავის სარჯს ვერ გადაარჩინოს თუ ცოტა

მაინც აქვს სიხალისე და სურვილი კითხვისა...

ღვთის შეწევნით და ჩვენი გამოცემის მკითხველთა თანაგრძნობის და ზნეობითი დახმარებით ჩვენ ვაცხადებთ ხელის მოწერას ჟურნალზე მომავალი მეთექვსმეტე წლისათვის, იმ პროგრამით, იმ მიმართულებით და იმ ფასით, როგორც დღემდის გამოდიოდა ჟურნალი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს საზოგადოებას უმეტესად შეგნებული უნდა ჰქონდეს ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ვითარება და მდგომარეობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველასთვის ცხადია საჭიროება და სარგებლობა სასულიერო ორგანოთა არსებობისა, განსაკუთრებით ჩვენს დროში, როდესაც ასე შეხამხნევათ ვხედავთ სხვა-და-სხვა სამწუხარო მოვლენათ, ზნეობრივ და სარწმუნოების რეკვასა.

ბევრჯელ გვითქვამს და კიდევ საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ჟურნალის გამოცემის საქმე ჩვენ არ გვაძლევს იმ ნივთიერ სიმდიდრეს, რასაც სხვა ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთები აძლევენ თავიანთ რედაქტორებს. სრული იმედი გვაქვს, რომ საზოგადოება უმეტეს შემწეობას აღმოგვიჩენს ჩვენი ჟურნალის გავრცელების საქმეში.

მომავალი წლის ხელის მომწერთათვის ჩვენ დავნიშნეთ საჩუქრად წიგნი **საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი, ლექსად დაბეჭდილი** უცნობი ავტორისა, რომელსაც ხელისმომწერნი მიიღებენ 1898 წ. სექტემბრის თვეში.

დეკ. დ. ღამბაშიძე

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში 17, 18, 19 და 20 ნოემბერს.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ იმერეთის სამღვდელოების დეპუტატებს კრება ჰქონდათ ქ. ქუთაისში 17, 18, 19 და 20 ნოემბერს. სამღვდელოების კრებას ჩვენ ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევთ და ამ კრებათა მოქმედების შეტყობა დიდ საინტერესოდ მიგვაჩნია. ამ კრებათა მოქმედება მკითხველს ცხადად უჩვენებს ადგილობრივი სამღვდელოების გონებრივ, ზნეობრივ და ნივთიერ მდგომარეობას. თუმცა სამღვდელოების ზოგიერთმა კრებებმა თავიანთი მოქმედებით გული გაუტეხეს საზოგადოებას, მაგრამ საზოგადოთ ამ კრებათა სარგებლობა ცხადია ყველასათვის, ვინაიდგან ამ კრებებზე უფრო უმჯობესად და სასარგებლოდ განიმარტებიან ხოლმე საზოგადო კითხვები. სწორეთ სამღვდელოების ერთ ამისთანა სასარგებლო კრებას ეკუთვნის იმერეთის სამღვდელოების ეს უკანასკნელი კრებაც.

17 ნოემბერს ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შენობის ერთ დიდ დარბაზში თავი მოიყარეს დეპუტატებმა, რიცხვით 36. მთელს ეპარქიაში სამღვდელოების დეპუტატების რიცხვი არის 54. ვინაიდგან კრების გახსნისათვის საჭირო რიცხვი დეპუტატებისა შეკრებილი იყო, ამიტომ კრება შეუდგა თავ-მჯდომარის და საქმის მწარმოებლის აღრჩევას. ამ თანამდებობაზე კანდიდატებად კრებამ დაასახელა: დეკ. ჭეიშვილი, დეკ. დ. ღამბაშიძე, დეპუტატები მ. მ. ნესტორ შვანგირაძე, ივლიანე აბესაძე და იუსტინე ტაბიძე. დეკანოზმა ღამბაშიძემ განაცხადა: «მე ამ კრებაზე ბევრი რამ მაქვს სალაპარაკო და ამიტომ არა მსურს კენჭი ვიყარო თავმჯდომარეობაზე». შემდეგ კენჭი უყარეს დეკ. იოსებ ჭეიშვილს და იუსტინე ტაბიძეს. უმეტესი ხმით აღრჩეულ იქმნა თავმჯდომარედ დეკ. ჭეიშვილი და სხვა კანდიდატებმა უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე. საქმის მწარმოებლად კრებამ ერთ ხმად აღირჩია დეპუტატი იუსტინე ტაბიძე. ამავე დღეს ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა დაამტკიცა თავმჯდომარე და საქმის მწარმოებელი კრებისა. კრება გადიდვა მეორე დღისათვის.

18 ნოემბერს, დილის 8 საათზე კრება გაიხსნა. ამ დღეს დეპუტატების რიცხვს კიდევ მოემატენ დეპუტატები. კრების გახსნისთანავე დარბაზში შემობრძანდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, რომელმაც გადაცა ლოცვა-კურთხევა კრებას და მერე დეპუტატებს მიჰმართა შემდეგი მოკლე სიტყვით: „მ. მ. დეპუტატნო, თქვენ ხართ დაბარებულნი ამ კრებაზე იმისათვის, რომ მოისმინოთ სასულიერო სასწავლებელთა წინადადებანი და სხვა-და-სხვა საქმეებიც, იქონიოთ მათზე მსჯელობა და რიგიანი განაჩენი დაადგინოთ ამ წინადადებათა და საქმეების შესახებ. უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი კრება არა ჰგავს ერის კაცთა კრებას. თქვენგან უფრო ბევრი ითხოვება, ვინემ მადგან. თქვენ ხართ მოძღვარნი და ამიტომ კეთილი მაგალითი უნდა უჩვენოთ ერის კაცთა. იქონიეთ მსჯელობა წყნარად, მშვიდობიანად სიყვარულობით. ყველამ რომ ილაპარაკოთ საგანზე, საქმე არ გათავდება. გაუგონეთ უფრო მცოდნეთ და გამოცდილებს და მაშინ უფრ მალე მიეცემა დასასრული საქმეს. შენიშნულია, რომ ზოგიერთებს სასირცხოდ მიაჩნიათ, რომ რაიმე არა სთქვან. მაგრამ ეს შემცდარი აზრია. შენმა ამხანაგმა თუ კარგადა სთქვა, შენ თავი დაანებე უბრალო ლაპარაკს. წინა კრებებზე დეპუტატები უსწავლელნი იყვნენ, დღესკი თქვენ, თითქმის, ყველა ნასწავლები ხართ და სირცხვილია, რიგიანი მსჯელობა ვერ იქონიოთ სხვა-და-სხვა კითხვების შესახებ. ასე, მამანო დეპუტატნო, ღმერთმა გაკურთხოსთ“. ამ სიტყვების შემდეგ ყოვლად სამღვდელო თავის ბინაზე წაბრძანდა.

თავმჯდომარე. მ. დეპუტატნო, მე როგორც თავმჯდომარე და წესიერების დამცველი გთხოვთ ყველას, რომ წესიერება დავიცვათ. ამისათვის მე ეხლავ ვაცხადებ, რომ ვისაც რომელიმე კითხვაზე ლაპარაკი სურს, იმან ჩემგან უნდა მიიღოს ნებართვა. ჩემ ნება-დაურთველად არავის არ მიეცემა ლაპარაკის ნება კრებაზე. ვისაც სურს ლაპარაკი აღძრულ კითხვაზე, ჩაიწეროს თავი სიაში და მერე, რიგისამებრ, მიეცემა ლაპარაკის ნება. ამ გვარი წესწყობილებით არც დროს დავკარგავთ და განსახილველი საქმეებიც უფრო კარგად გამოირკვევა. თუ ვინმემ ეს წესი დაარღვია და ნება დაურთველად წაართვა სიტყვა სხვას, მე იძულებული ვიქნები კრება დავხურო.

მ. თავმჯდომარის ასეთი წინადადება კრებას დიდ სასიამოვნოდ დაურჩა გარდა ერთი ორი დეპუტატისა რომელნიც ზოგიერთ პირთა სიამოვნებისათვის მზად არიან მთელი დღე ილაპარაკონ და იმას არ დაგიდევენ, კანონიერია მათი მსჯელობა, თუ არა.

პირველი საგანი, რომლის განხილვას შეუდგა კრება, იყო ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოების შემოერთება იმერეთის ეპარქიასთან და ამ სამღვდელოების მხრით მიღება ყველა იმ ხარჯებისა, რომელსაც იმერეთის სამღვდელოება იხდის სასულიერო სასწავლებლების სასარგებლოდ.

თავმჯდომარე. ვის გნებავსთ, მ. დეპუტატნო, ამ საგნის შესახებ ლაპარაკი? მიბრძანეთ, რომ სიაში ჩავსწეროთ და მერე რიგ-რიგობით ილაპარაკოთ.

დეპუტ. დეკ. დ. დამბაშაძე ჩვენი ბაასი აქ ამ საგნის შესახებ უადგილოა. თქვენ კითხეთ თვით ლეჩხუმის მაზრის დეპუტატებს, სურთ თუ არა მათ მიიღონ თავის თავზე ის გადასახადი, რომელსაც იხდის თითოეული კრებული იმერეთის ეპარქიისა? თუ ისინი ამაზე თანხმობას განაცხადებენ, საქმე გათავებული იქნება და ბაასი სრულიად საჭირო არ არის.

ბლაგ. მღ. ალ. გერსამია ჩვენ, ლეჩხუმის სამღვდელოება, თუმცა დღემდის იმერეთის ეპარქიაში არ ვირიცხებოდით, მაგრამ შვილებს ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში ვზრდიდით და სწავლის უფლებისათვისაც ფულს ვიხდიდით. თუმცა სენაკის სასწავლებლის შესანახავად ფულს ვიხდიდით, მაგრამ სიშორისა გამო იქ შვილები ვერ მიგვყავდა და არც შეეძლოთ ჩვენს შვილებს იქაური ჰავის ატანა. დიდ მადლობას ვსწირავთ სასულიერო მართებლობას, რომელმაც შეიწყნარა ჩვენი თხოვნა და გადმოგვრიცხა იმერეთის ეპარქიაში. სრული თანახმა ვართ ლეჩხუმის სამღვდელოება ჩვენს თავზე მივიღოთ ყველა ის გადასახადი, რასაც იხდის თითოეული კრებული იმერეთის ეპარქიისა.

კრებამ ცოტა ბაასის შემდეგ გარდასწყვიტა, რომ შესდგეს ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოების და ეკკლესიების სიები, რომელნიც გადაეცესთ ქუთაისის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლის სამმართველოს და ქალების გაბრიელის სასწავლებლის რჩევას, რომ ამ უკანასკნელთ ამ სიებისამებრ მოითხოვონ ხვედრი შემოსატანი ფული 1896 წლიდან. ლეჩხუმის სამღვდელოების დეპუტაცებმა სთხოვეს კრებას, რომ მას მოეთხოვა საიდანაც ჯერ იყო ის ფულები,

რომელიც ამ სამღვდელოებას ჰქონდა შეტანილი სენაკის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის სახლის ასაშენებლად, მაგრამ კრებამ არ მიიღო ეს განცხადება და ურჩია ხსენებულ დეპუტატებს, რომ თვით ისინი მიიქცნენ, სადაც ჯერ არს, და მოითხოვონ ხსენებული ფულები.

შემდეგ კრება შეუდგა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მომავალ 1898 წ. ხარჯთა აღრიცხვის განხილვას. ამ ხარჯთა აღრიცხვის განხილვის და დამტკიცებამდე, სამღვდელოებამ მოითხოვა სასწავლებლის წარსული წლის შესავალ-გასავალის ანგარიში, მაგრამ სასწავლებლის სამმართველოს ასეთი ანგარიში კრებისათვის არ წარუდგენია. გასაკვირველია, რომ წინათ ასეთი ანგარიშები გაზეთებშიაც იბეჭდებოდა და ისე წიგნაკებადაც ურიგდებოდა სამღვდელოებას და დღეს კი აღარც ერთია და აღარც მეორე. სამღვდელოება მიუცილებლად ითხოვს სასწავლებლის სამმართველოდგან, რომ ეს ანგარიში უსათუოდ იქნეს დაბეჭდილი სასწავლებლის წესდების § 4 თანახმად, „საექსარხოსოის მოამბეში“.

თავმჯდომარე. სასწავდებლის მომავალი წლის ხარჯთა აღრიცხვის წაკითხვის შემდეგ ვის ნებავს ამ საგანზე ლაპარაკი?

დეკ. სამოხ მჯედლიძე. მე მსურს ვსთქვა ორიოდე სიტყვა სასწავლებლის წიგნთ-საცავის შესახებ. წარსულს წელში, ჩვენ, ვგონებ, ასი მანეთი დავნიშნეთ ხსენებული წიგნთ-საცავის სასარგებლოთ და სამმართველოს კი ორასი მანეთი დაუხარჯავს. ორასი მანეთი მაინც და მაინც დიდი ფული არ არის, მაგრამ, საქმე ის არის, როგორ წიგნებს იწერენ ამ ფულებით, როგორ სარგებლობენ მოწაფენი ამ წიგნებით და რა ნაყოფი მოაქვს ამ წიგნების კითხვას. თუ მოწაფეების საკითხავად იწერენ წიგნებს, მაშინ ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული, რომ რიგიანი წიგნები იქნეს გამოწერილი. თუ რიგიან წიგნებს იწერენ მოწაფეებისათვის, კარგია, მაგრამ ამაში ჩვენ ცოტა ეჭვი გვაქვს. მე ხელთ მაქვს აგერ ერთი წიგნი და წაგიკითხავთ ამ წიგნიდამ რამოდენიმე ადგილს (კითხულობს). თუ აქედან თქვენ რაიმეს გაიგებთ, მე ნიძლევს დავდებ. თუ ამ წიგნის შინაარსი ჩვენთვის გაუგებარია, მოწაფემ რაღა აზრი უნდა გამოიტანოს აქედან?

წევრი სასწ. სამმართ. მღ. დოლაბერიძე. სასწავლებლის სამმართველო წიგნების გამოწერის დროს იმით კი არ ხელმძღვანელობს, თუ ვის რომელი წიგნი მოსწონს, არამედ ხელმძღვანელობს უმაღლესი სასულ. მთავრობის ჩვენებით. რომელ წიგნსაც მთავრობა იწონებს, სამმართველოც იმას იწერს და ზოგიერთი წიგნების გამოწერა სავალდებულოც არის სასულ. სასწავლ. სამმართველოებისათვის.

დეკ. დ. დამბაშიძე. მე უნდა მიეაქციო კრების ყურადღება მასზე, თუ როგორი მოვლა და ექიმობა აქვსთ ავათმყოფ მოსწავლეთა. ამ საგნის შესახებ მრავალი პირისაგან გვსმენია საჩივარი, რომ ავადმყოფ მოწაფეებს თავის დროზე ექიმი და ფერშალი არ ეშოებათო და სხვა სამდურავიც ისმის. სასწავლებელს ათას მანეთზე მეტი ეხარჯება წელიწადში ექიმზე, ფერშალზე და საავადმყოფოზე. საინტერესოა შეიტყოს კაცმა, ამ ხარჯს მოაქვს სარგებლობა, თუ არა? შეიძლება ავადმყოფები წლის განმავლობაში ისე ცოტანი არიან, რომ ამ ფულით მათი ექიმობა. რომელიმე საავადმყოფოში უფრო იაფად დაჯდეს. მე არ ვარ მისი წინააღმდეგი, რომ სასწავლებელსაკუთარი ექიმი ყავდეს, მაგრამ ექიმმა რომ თვეში მარტო ერთხელ დახედოს სასწავლებლის მოწაფეებს, ეს არ კმარა და ამისთანა შრომისათვის ოთხასი მანეთის მიცემა ექიმზე დიდათ მიმაჩნი. უმჯობესია რომელიმე ექიმს საჭიროების დროს დაენიშნოს სამ-სამი მანეთი ვიზიტზე. საჭიროა, მოუწოდოთ ბ. ზედამხედველს და ვკითხოთ ამ საქმის გარემოება. თავმჯდომარის თხოვნით კრებაზე შემოვიდა სასწავლებლის ინსპექტორი ბ. ი. გაფრინდაშვილი, რომელმაც განაცხადა: ამ წლის სექტემბრის თვემდის სასწავლებლის ექიმი ყოველ დღე არ დადიოდა სასწავლებელში, ამ წლიდან კი სასწავლებლის სამმართველომ ვალად დაუდგინა, რომ ექიმმა ყოველ დღეს იაროს სასწავლებელში. დავადგინეთ წიგნი, რომელშიაც ყოველ დღეს ხელი უნდა მოაწეროს და როცა არ მოვა, ჩვენ ვნიშნავთ, რომ ამა და ამ დღეს ექიმი არ მოსულაო.

დეკ. დ. ღ—ძე. ბატონი ინსპექტორის სიტყვიდან ჩანს, რომ სასწავლებლის ექიმი ისე მუყაითად არ ყოფილა სამსახურზე, როგორც ამ ბოლო დროს მოუთხოვიათ მისთვის. სამმართველოს სწორეთ კარგი უქნია, რომ ექიმისთვის დაუვალებია სასწავლებელში ყოველ დღე სიარული. იმედია, რომ სასწავლებლის სამმართველო ამის შემდეგაც მოთხოვს მას თავის თანამდებობის მუყაითად აღსრულებას. ეხლა კრების

ყურადღებას მივაქცევ დასაწყისი მოსამზადებელი კლასის მდგომარეობაზე. თუმცა მ. თავმჯდომარემ განაცხადა აქ, რომ ჩვენგან შემოსატანი 13000 მანეთი სრულიად ფარავს სასწავლებლის ყველა ხარჯებსო, მაგრამ ეს მართალი არ არას. ჩვენ გვაკლდებოდა წინეთ დასაწყისი მოსამზადებელი კლასების ხარჯი 1200 მანეთი. რადგან ეს ფულები ჩვენ აღარ გვქონდა და მიკიღეთ რა სახეში ისიც, რომ ამ კლასებში ერის კაცის შვილები ბევრნი იყვნენ, თითოეულ მოწაფეს სასულიერო წოდებისას დაედვა წლიურად სწავლების უფლებისათვის 15 მ. ხოლო ერის კაცის შვილებს 40 მ. დღეს ამ კლასებში, ერის კაცის შვილები ძლიერ მცირენი არიან. ჩემის აზრით საჭიროა განვათავისუფლოთ ამ გადასახადისაგან სასულიერო წოდების შვილები და ხსენებული ხარჯი დაიფაროს იმ ფულებიდამ, რომელიც შემოვა ლეჩხუმის სამღვდელოებისაგან.

კრებამ მიიღო ეს მოსაზრება და სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯთა აღრიცხვა დაამტკიცა.

ერთი დეპუტატთაგანი,

დასასრული შემდეგში.

კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრება

დასასრული *)

მეფის ვახტანგ მე-VI ის კანონებით, საქართველოს სამეფოში ყველა თავისის საქციელის პასუხისმგებელი თითონვე იყო და თითქმის არსად შეხვდებით ამ კანონებში ისეთს ადგილს, რომ გაფიქრებინოთ, საქართველოში პასუხის-მგებლობა მთელს სოფელს ეკისრებოდა იმ დანაშაულისთვის, რომელიც ამ სოფლის საზღვართა შორის ვინ იცის ვის ჩაუდენიაო. 1812 წ. პირველად გენერალმა რტიშჩევმა უბრძანა საქართველოს გუბერნატორს მალინოვსკის შემოელო სიღნაღისა და თელავის მაზრებში საურთიერთო პასუხის-მგებლობა ძარცვა-გლეჯისა და ავაზაკობისათვისაო. შემდეგ გენერალ ერმოლოვმა ასეთივე საერთო პასუხის-მგებლობა შამოიღო ქურდობისათვის მთიელ მაჰმადიანთა და ოსთა შორის. ასეთივე წესები გამოსცა მთავარმართებლად ნამყოფმა თავ. დონდუკოვ-კორსაკოვმა 1882 წელს თერგისა და ყუბანის ოლქებში მცხოვრებთათვის. 1883 წელს, რადგან განჯის გუბერნიაში გახშირდა ქურდობა, ძარცვა და ავაზაკობა, იქაც ესევე წესი შემოიღეს ამ გუბერნიის სოფლის საზოგადოებათა საერთო თანაბარ პასუხის-მგებლობისა. ამ ღონისძიების შემოღებას ბ-ნი ფრენკელი არ თანაუგრძნობს, რადგან სარგებლობა არ მოაქვს, პირ-იქით, სოფლის პაწია მოხელეებს შეძლებას აძლევს ბოროტად გამოიყენონ უფლება მცხოვრებთაგან ჯარიმის გარდახდევინების დროსაო.

წლიურად ამიერ-კავკასიაში საერობო დარაჯის შესანახად იხარჯება 469,069 მან. 43 კაპ., უფრო ჩაფრებს, ესრედ წოდებულ «ურიადნიკებს» წლიურად 300 მან. ეძლევათ, უმცროსებს — 264 მან. უბრალო ჩაფრებს 240 და 216 მან. ეს მცირე ჯამაგირი, რასაკვირველია, ვერ მიიზიდავს ამ სამსახურში რიგიანს ხალხს და ამიტომ ამ ჟამად აღძრულია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ პოლიციის მოხელეთა გამრავლებასთან, ჯამაგირიც მოემატოთ ამ მოხელეებს და მათ შორის უფრო რიგიანი წესი იქმნას დადგენილიო.

დასასრულ, რაკი კავკასიის სხვა-და-სხვა ნაწილში ავაზაკობა არ ისპობოდა, ადგილობრივნი მოხელენი 1891 წ. იძულებულ შეიქმნენ კვლავ მცხოვრებთა დახმარებისათვის მიემართათ. ამ აზრით პოლიციის ბოქაულები სოფელს ეძახდნენ და სთხოვდნენ, რომ მავნე, უფლების შემლახველ-დამრღვეველნი დაგვისახელეთო. თუმცა ასეთ მავნე კაცთ სოფელში ყველა იცნობს, გულითაც არის მოწადინებული, რომ მისი მეზობლობა მოიშოროს თავიდგან, მაინც სოფლის ყრილობას თითქმის ვერასოდეს ვერ გაუბედნია დაასახელოს ისინი იმის შიშით, რომ ჯავრს ამოიყრის, შურს იძიებს, მაგიერს მომაგებსო. ამ შიშისავე წყალობით გამოუსადეგრადა რჩება უფლება საზოგადოებისა იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე მავნე წევრთა ციმბირში გადასახლებაო. შემდეგ, მე დიდად კარგ ღონისძიებად მიმაჩნია ავაზაკობასთან საბრძოლელად, რომ ხალხს აეხსნას, განემარტოს ხოლმე რამდენად უკანონოა, უზნეოა და

*) იხ. „მწყემსი“ № 21, 1897 წ.

ღვთისა და სარწმუნოების წინააღმდეგი ავაზაკობა და სხვათა გაძარცვა. ასე მოიქცა, მაგალითებრ, შიიტთა შეიხ-ულ-ისლამი ახუნდ-ზადე, რომელმაც 1895 წელს ეპისტოლეთი მიჰმართა მაჰმადიანთაო.

აი, ამდენი ღონისძიება იყო ხმარებული, ამდენი შრომა, მხნეობა და ფული მოინდომა ამ სენთან —ავაზაკობასთან ბრძოლამ, მაგრამ ავაზაკობა კავკასიაში მაინც არა ჰნელდება, არ ისპობა, მშვიდობიან მკვიდრთა ცხოვრება მაინც შეშფოთებულია. უმთავრესი მიზეზი ამისი ის არის, რომ კარგად არა გვაქვს შესწავლილი და გაცნობილი ზოგიერთი ისტორიული, სოციალური, ეკონომიური და სხვა თვისებები ხალხისა; საერთო პროგრამმა არა გვაქვს მოქმედებისა და სხვანი. აქამდე ავაზაკობას გარეგნად ვუწევთ ბრძოლას და არავითარს საშუალებას არა ვხმარობთ, რომ ხალხზედ სარწმუნოებრივად, ზნეობის მხრივ ვიმოქმედოთ, რაც დიდი ნაკლია ჩვენის პროგრამისა. უნდა ვეცადნეთ, რომ კავკასიის მკვიდრთა შორის, განსაკუთრებით იქ, სადაც მაჰმადიანები მოსახლობენ, საერო სასწავლებლები იქმნას დაარსებული, ყურადღება მიექცეს მკვიდრთა საერთო და სარწმუნოებრივს აღზრდას, იმათის ცხოვრების ეკონომიურად გაუმჯობესებას.

ბევრი მკაცრი და სასტიკი ღონისძიება იქმნა ხმარებული, მაგრამ ყოველივე ეს ამაო გამოდგა, განსაკუთრებით მაჰმადიან მკვიდრთა მოსათვინიერებლად; მართალია, ქართველთ უკვე მოიშალეს ავაზაკობა, მაგრამ გურიასა და სამეგრელოში ჯერ კიდევ იჩენს ხოლმე იგი თავს. დაღესტანსა, თერგისა და ყუბანის ოლქებში მოსახლენიც კი თითქოს მოტყდნენ, ცოტ-ცოტა დაწყნარდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ განჯისა, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში ჯერაც ყოველ დღიური ამბავია ძალ-მომრეობა, ძარცვა, ავაზაკობა და კაცის კვლა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ავაზაკობა ძნელად თუ მოისპოს კავკასიაში, ვიდრე აცილებულ არ იქნება მისი მასაზრდოებელი მიზეზები; ვიდრე შემუშავებული არ იქნება საზოგადო წესი და სისტემა მის წინააღმდეგ ბრძოლისა და გამკლავებისა; ვიდრე მისნი მკვიდრნი გონებრივად და ზნეობრივად არ განკარგდებიან და არ შესუსტდება ჩვეულება სისხლის ძიებისა, ავაზაკთა დაფარვისა, ვიდრე წესიერი მეთვალყურეობა არ იქმნება შემოღებული სოფლებში და მკვიდრნი მოკლებულნი არ იქმნებიან შეძლებას ავაზაკთა ბრბოს თავისუფლად შედგენისასა და იარაღის საავაზაკოდ, ბოროტად მოხმარებისას; ვიდრე არ იქმნება გაძლიერებული რიცხვი პოლიციისა და საეროობო დარაჯის მოხელეთა და სხვანი.

ბ. ვ. ნ. ივანენკომ მოახსენა კრებას, რომ დიდი განსხვავებაა რუსეთის ავაზაკსა და კავკასიის ავაზაკს შორის. რუსეთში ავაზაკს ერთის ნახვით იცნობ, იგი უბინაოდ, მარტოდ, ეულად დაძრწის მშიერ აგელსავით და, დევნილი, არაფრითა ჰგავს ავეულებრივს მშვიდობიანს მკვიდრს. კავკასიაში-კი ავაზაკსა და მშრომელს გლეხს ერთმანეთში ვერ გაარჩევ, თუნდა გვერდშიაც ამოუყენო. ამიერ-კავკასიის იმ ადგილებში-კი, სადაც მაჰმადიანები სცხოვრობენ, ხშირად ავაზაკი რომელიმე გავლენიანი კაცია, რომელსაც ავაზაკად ხსენებას ვერც-კი გაუბედავ. იგი ბატონია, ხანად მოაქვს თავი და თითქმის მთელი მაზრა ხელში უჭირავს. სამაზრო ქალაქში სცხოვრობს, ორმოც-და-ათამდე მოსამსახურე ჰყავს და იმის წინაშე ყველანი სცახცახებენ. ყველა იმის სასარგებლოდ ხარკს იხდის, დაბეგრილი ჰყავს ხალხი. თუ ურჩობას გაუწევს ვინმე და ვაი იმის დღეს: ამოსწვამენ, ამოჟლეტავენ, მათრახის ქვეშ სულს ამოართმევს ურჩს. თუ საქმემ სასამართლომდე მიაღწია, ათი-ათასს მოწმეს იშოვის და თავს იმართლებს. ეს იმისათვის ძნელი არ არის. იმისი თავხედობა იქამდის მიდის, რომ მცხოვრებელთ მეჩეთში უყრის თავს და ფიცს აღებინებს, რომ ჩემნი ერთგულნი იყავით და უჩემოდ მთავრობის არც ერთი განკარგულება არ აღასრულოთო. მეკითხებით ახლა თქვენ, ეს კაცი ავაზაკია თუ საპატიო მოქალაქე? წარჩინებულნი მოხელენი როდესაც მოვლენ ხოლმე იმ სამაზრო ქალაქში, იმათი გულ-უხვი მასპინძელი იგია და ხშირად ორის კვირით გაუმასპინძლდება ხოლმე. ჰხედავს ამას ხალხი და ძრწის იმის წინაშე. ამ კაცს საავაზაკოდ, სათარეშოდ, გარეთ გასვლაც არა სჭირდება, თავისის ხელითვე მიაქვთ იმასთან ყოველივე, რასაც-კი მოისურვებს.

მეორე მაგალითი. აგერ ერთიც სოფლად შეფარებულა, ნაციმბირალია. ორი ნუკერი ჰყავს და მთელი ის სოფელი, სადაც ცხოვრობს, და ახლომახლო სოფლებიც ხელში უჭირავს. უბრძანებს სოფლელებს და ყველაფერს მოართმევენ. ეურჩებიან და გადასწვამს, ათას უბედურებას დაჰმართავს. იგი ბატონია სოფლისა და ასეთს ბატონს ეწოდება ამბუ-

ზარ-ალა, ან ამბუზარ-ეფენდი. სულ ერთია. ეს ამბუ-ზარი მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისის გვერდით მოსახლობს, ყველამ იცის მისი ოინები, მაგრამ შიშით ვერავინ ვერას უბედავს. სცხოვრობს იგი ბედნიერად, კაცს არა ჰკლავს, არავის არას ერჩის-რა, რადგან ყოველივე მისი სიტყვა ბრძანებაა, ყველაფერი უხვად აქვს. გეკითხებით კვლავ, ეს ამ-ბუზარი განა ავაზაკია?

სოფელი რად ინახავსო, იკითხავთ. რად შეინა-ხავს სოფელი, როდესაც იმათს სისხლსა სვამს, იმათი შესანახავია, იმათ კისერზედა ზის. იმიტომ, რომ შიში აქვსთ. ეძნელება ტვირთი მისის შენახვისა, მაგრამ მაინც კრინტი ვერ დაუძრავს, რადგან მო-ხელეთაგან პატრონობის იმედი არა აქვს. ჰხედავს იმის თავისუფალს, თამამსა და თავხედს მოქმედებას და რწმუნდება, რომ ძალა ამბუზარაღის ხელშია, ვერც მამასახლისი და ვერც ბოქაული იმას ვერ მოერევაო. მეტი რაღა ძალა აქვს, რომ არ დაემორ-ჩილოს. დაარწმუნეთ ხალხი, რომ ძალა იმათ ხელში არ არის, და მოიხსნის კისრიდგან ამ უღელს, აღარ გაექელვინება, აღარ დაემონება.

შემდეგ პოლკოვნიკი ივანენკო შეეხო იმ სა-განს, რომ ზოგიერთი სასჯელი, სასჯელთა დებუ-ლებაში აღნიშნული, მაგალითებრ ციმბირში გადა-სახლება, ძალიან სასტიკია ადგილობრივ მკვიდრთა-თვის: სამშობლოს განშორებულნი, ჯან ღონით სუსტნი, რუსულის ენის უცოდინარნი. ისინი ციმ-ბირში ვერ შეიძლებენ უცხოთა შორის ახალის ცხო-ვრების დაწყებასაო, საერო სასამართლომ დაღეს-ტანში, ადათის კვალობაზედ დადებულმა სასჯელმა კარგი ნაყოფი გამოიღო, თითქმის მოსპო ამ ქვეყა-ნაში ავაზაკობა. დანაშაულისათვის, რომლისთვისაც დაღესტანში საერო სამართალი ადათისამებრ სჯის, ჩვენი სასჯელთა დებულება ციმბირს უწყვეტავს. კარგი იქმნება, რომ ამიერ-კავკასიაშიაც ადათი და კანონი შეთანხმებული იყოს, ერთმანეთთან შეფე-რებული, კანონი ხალხის ზნე-ჩვეულებას არ ეწი-ნააღმდეგებოდეს, სასამართლო ხალხისათვის გასაგე-ბი იყოსო.

ბ-ნ ივანენკოს სიტყვას საზოგადოება დიდის ტაშის ცემით მიეგება.

თავმჯდომარე თ. ა. ბიკოვი. ბ-ნ ივანენკოს მიერ დასახელებულ მაგალითისთანას ბევრს ჩვენც დავასახელებდით, მაგრამ რას იზამთ, როდესაც ეს ავაზაკნი ხელში არ უვარდებიან მთავრობას, იმათი გამოაშკარავება ძნელია. რაც შეეხება ადათებს, ჯერ ერთი დაღესტანში, ერთ ნაირი-კიარა, მრავალი სხვა-და-სხვა ადათი არსებობს და მეორე, ამიერ-კავ-კასიაში არავითარი ადათი არ მოიპოვება და არც საერო სასამართლოების დაწესება შეიძლება დაღის-ტანისებურადაო.

ნ. 3. სმიტტენი. ღონისძიებანი, ხმარებულნი მთავრობის მიერ ავაზაკობის წინააღმდეგ,—რომელ-ნიც განიხილა აქ ბ-ნმა ფრენკელმა და უარჰყო, ყველა უმნიშვნელო არ არის და თავისს დროზედ მნიშვნელობა და აზრი ჰქონდათ. რაც შეეხება რე-ფერენტის აზრს, რომ სოფელი არ უნდა იყოს პა-სუხის-მგებელი ვისიმე დანაშაულისაო, მე სრულიად და სავსებით ვეთანხმები, რადგან ამიერ-კავკასიაში ეხლა შეერთებული, შეკუმშული სოფელი აღარ არის, სოფელი ერთ ოჯახს აღარ შეადგენს, რო-გორც უწინ იყო და ეხლაც არის სპარსეთში. ცხოვ-რებისა და კანონდებულების კანონით ეს ერთობა დაირღვა, ეხლა ყველა კერძო ოჯახს თავისი ცალკე ცხოვრება აქვს და ამიტომ ერთის დანაშაულისათვის ყველას დასჯა მოსაწონი არ არისო.

ამ აზრს ბ-ნი ფრენკელიც დაეთანხმა.

დასასრულ ბ-ნმა თ. ა. ბიკოვმა წინადადება მისცა კრებას, მადლობა გარდაუხადოთ ბ-ნს ფრენ-კელსაო, და საზოგადოებამაც ერთხმად განუცხადა მადლობა ბ-ნს ფრენკელს, ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა რეფერატის წაკითხვისათვის.

კრება $11^1/_2$ საათზედ დაიშალა. «ივერია»

„მწყემსის“ კორესპონდენცია

ვლადივოსტოკიდან.

ქალაქი ვლადივოსტოკი მდებარეობს ქალ-პეტერბურგიდან 9877 ვერსის სიშორეზე სამხ-რეთით ნახევარ-კუნძულის «მურავიოვ-ამურსკი-სა», რომელიც უერთდება პეტრე დიდის სრუ-ტეს, რომელიც ერთი უდიდესი ზღვიდან იაპო-ნიის ზღვისა. შორიდან ვლადივოსტოკი წარმო-ადგენს დიდ ნავთსადგურიან ქალაქს, მაგრამ

მიუახლოვდები თუ არა, რწმუნდები, რომ ეს ქალაქი დიდი არ არის. ვლადივოსტოკს აქვს 6 მეიდანი და 45 ქუჩა; ქუჩის სიგანე არის 6—15 საჟ. აქ უარსივით განიერი ფართო ქუჩებია, რომლებიც ქვით არ არიან მოფენილნი. მთელს ქალაქში არის 1700 სახლი, რომელთა შორის ქვითკირისაა 300, ხისა 1000 და წნული 280. აქ არის სამი მართლ-მადიდებელი ტაძარი. ღვთისმშობლის მიძინების საკრებულო ტაძარი, სადაც მსახურებს 3 მღვდელი, მთავარ-დიაკვნით და 2 მედავითნეთი. ტაძრის წინამძღვარი უმაღლეს სწავლა დამთავრებულია. ამ ტაძარში თვითოეულს დღეს მოჯერეობით სრულდება წირვა-ლოცვა. მეორე ტაძარი არის სიბირის ფლოტის ეკიპაჟისა ზღვის უწყებაში და ითვლება შინაურ ეკლესიად, რადგანაც კაზარმის შენობაშია მოთავსებული. მესამე ტაძარი, ახლად შემდგარ ვლადივოსტოკის ადგილობრივ რაზმის პოლკისაა და ამა მიმდინარე წლის მაისის 23 აკურთხეს. ეს უკანასკნელი ტაძარი აშენებულია ქალაქიდან 7 ვერსის მანძილზე, ესრედ წოდებულ «რუსულ კუნძულზე», სადაც იმყოფება 1 როტა მეცხოვნე არტილლერიისა და 1 ბატალიონი ადგილობრივი ვლადივოსტოკის რაზმისა. ამ „რუსულ კუნძულზე", სადაც ცხოვრობს თქვენი უმორჩილესი მონა, შემდეგ მექნება ლაპარაკი.

რადგან აქაური ქუჩები ქვით არ არის მოფენილი, და მასთან ოღრო-ჩოღრონი არიან, ამისათვის ეტლით მგზავრს მუცელი ხელით უნდა ეჭიროს. ერთი სიკეთე ამ ქუჩებისა ის არის, რომ ქუჩის ერთი ნაპირი 2—3 ალაბის სიგანეზე დაფენილია მთლათ ფიცრის იატაკით, რომელიც დიდ შემწეობას უწევს ფეხით მოსიარულე მგზავრთ ავდრიანობის დროს. ქალაქს უჭირავს ნავთ-სადგურის ნაპირზე, თითქმის, 7 ვერსზე მეტი ადგილი. მთელი ვაჭრობა აქ ჩინეთლების ხელშია, საითაც გახედავ კაცი, ყველგან ჩინეთელ კაცს «მანზათ» წოდებულს დაინახავ. ყოველგვარი ხელობაც აქ ჩინეთლების ხელშია. ჩინეთლები მზად არიან გროშია გულისთვის თავიანთი სიცოცხლე გასწირონ. დანარჩენი ვაჭრობა რუსებისა, ნემცებისა, იაპონელებისა და სულმცირე ზარმაც კორეთელების ხელშია. აქ არის ორი დიდი სავაჭრო კომპანია, რომელიც მილლიონობით ვაჭრობს. ამ კომპანიას აქვს საკუთარი გუბეები და ხომალდები იალქნებით სამძღვარ-გარეთიდან სავაჭრო საქონლის მოსატანათ.

ჰაერი ვლადივოსტოკში ძალიან ნესტიანია, ვინაიდგან თვეობით მზეს ვერა ხედავს კაცი. მთელი წლის განმავლობაში კარგი დღეები გამოირჩევა მხოლოდ 144, დანარჩენი 221 დღე ან ქარიანია, ან წვიმიანი, ან ღრუბლიანი, ან ქარიშხლიანი, ან სულ სხვანაირი, რომელიც შხამავს კაცის წუთის სიცოცხლეს. სასწავლებლები არის 9: ექვს კლასიანი ვაჟების პროგიმნაზია, ხუთ კლასიანი საქალებო სასწავლებელი. სამოქალაქო სასწავლებელი და დანარჩენნი მოსამზადებელი კლასსებიანი სასწავლებლები. აქ ყოველფერი ძლიერ ძვირია, გარდა თევზისა, პურისა და ჩაისა, უკანასკნელი გირ. 40 კ. ღრს. ინდოური ფასობს 8—15 მანეთამდის, ბატი 3—8 მან., პური გირ. 5 კ., ძროხის ხორცი გირ. 20—25 კ., ცხვრის ხორცი გირ. 30—40 კაპ. ყურძენი სამძღვარ-გარეთიდან მოაქვთ და ფასობს 1 გირ. 50 კ. 1 მ. 20 კაპ. და სხ. და სხ. ბოთლი ღვინო, ნახევარი არაყი და სხვანაირათ მოწამლული 50 კ. 2 მან. ამ სიძვირის ასაცილებლად აქ არის მიდზია ეკონომიური საზოგადოებისა, რომელიც ეკუთვნის სამხედრო უწყებას. აქაური ხორცი საჭმელად არც კი ვარგა, ისეთი ცუდია, მაგრამ «გაჭირება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო», ნათქვამია. მეუასპეებს მოუდით საქონელი იალქნებით სამძღვარ-გარეთიდან და უფრო კორეთიდან, ბებერი, ნამუშევარი, ილაჯგაწყვეტილი, ჯანდაგი საქონელი. ზოგჯერ იქამდის უღონო და დავარდნილი, რომ როდესაც ხომალდიდან გადმოსხამენ ხოლმე, ზოგს ილაჯი არა აქვს საუასპომდის თავის ფეხით მისვლის. ბევრი შემთხვევა ყოფილა, რომ დავარდნილი საქონელი ვაგონიდან გადმოსხმისთანავე დაუკლავთ და ირე წაუღიათ ეტლით საუასპომდის. აქედან მკითხველი დაინახავს, თე რა გემოსი უნდა იყოს ასეთი საქონლის ხორცი? კვერცხი ფასობს ასი ცალი 2 მან. 6 მან.

მკათათვის 21 რიცხვს ვლადივოსტოკიდან გავიდა შეველიევის მოვაჭრეთა კომპანიის გემი «ვლადიმირი» პასიეტში. სამი საათის ნახევარი იქნებოდა დღისით, ნისლიან ბურუსიან ტარო-

სის გამო გემი შეადგა ქვას „აკარა გამოვიდ" ალაგას, პოსიეტს და „რუსულ კუნძულს" შუა, 80 ვერსის მანძილზე ვლადივოსტოკიდან. როგორც ეს ამბავი გაიგეს ვლადივოსტოკის მეზღვაოსნე საზოგადოებამ, მაშინვე აფრინა მისაშველებლად გემები, მაგრამ ვერც ამათ უშველეს რა, ძრიელ დაზარალებული, სამ ალაგას შემტვრეულს გემს. ხალხი არავინ დაზარალებულა.

ავგისტოს პირველ რიცხვებში ვლადივოსტოკია ნავთ-სადგურში შემოვიდა და შეუერთდა რუსეთის ესკადრას საფრანგეთის ორი კრეისერი „ბაიარდი" და «ეკლერენ». ამავე დროს მოვიდა გერმანიის კრეისერი „ირენ". რუსეთის ესკადრა გასულ მაისიდან აქა დგას, სამძღვარ-გარეთ იაპონიის ქალაქ ნაღასაკიდან მოსული და შემოდგომაზე იქვე დაბრუნდება საზამთროდ. შვენიერი სანახავია ღამით განათებული ნავთ-სადგური სხვა და სხვა ფერად, განსაკუთრებით რომელსამე დღესასწაულს, როცა ზარბაზნებს ისვრიან. მკათათვის პირველ რიცხვებში შემოიღეს აქეთა მხარეში მომრიგებელ-მოსამართლეთა განყოფილება. ოვით ვლადივოსტოკში ორი მომრიგებელი მოსამართლე იქნება. მდგომარე წლის გაზაფხულიდან ვლადივოსტოკში მოვიდნენ რუსეთიდან მრავალნი ინჟინრები, რომელნიც უჩქარიან ციმბირის რკინის გზის გაყვანას ჩინეთის ქვეყნის სამძღვარზე მანდჟურისაკენ, მაგრამ დიდი ხანი არ გასულა, რომ გაჩნდა ცხენის ავადმყოფობა, ციმბირის კეთროვნება (Сибирская язва), რომელმაც შეუშალა ხელი მუშაობას. დაეხოცათ ორასამდე ცხენი, რის გამოც მარიამობისთვის 16 რიცხვამდის მუშაობა შეჩერდა. დღეს კი იწყეს ენერგიული მუშაობა ტაძარში.

სოლიკო ციმბირში.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

შავი ჭირი და მისი მოლოდინი.

(წერილი ექიმი სეგალისა)

(გაგრძელება*).

შავი ჭირი გადამდებელი ავათმყოფობაა და თუ რომ ავათმყოფებთან კარგათ მყოფებს მსვლელობა ექნებათ საშინლად მალეც ვრცელდება. ავათმყოფის ყველაფერი (განავალი, ნაფურთხი და სხვანი) ბლომათ შეიცავს შავი ჭირის ბაცილებს. აგრეთვე ავათმყოფის ზედ სახურავი და ტანსაცმელი სულ გაჟანთულია ამ გვარის სენით, ამიტომაც შავი ჭირით ავათ-მყოფი პირველი მადანი ანუ წყაროა ამ სენისა, საიდგანაც თან-და-თან ვრცელდება იგი. ამასთანავე იმ ოთახში, სადაც ავათმყოფი წევს, თუ რაიმე საგნები იქნა, ანუ ხალხს მსვლელობა ექნა — ესენიც ძრიელ მალე გაავრცელებენ ჭირს სხვა ადგილებში სადაც მანემდის არ ყოფილა და თვითან კი ხშირად უვნებელი რჩებიან. ამაში თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ ტანისამოსით, ხაბაკით, და სხვა-და-სხვა შინაურ ავეჯეულობით ხშირად ვრცელდება ხოლმე ამ გვარი გადამდები ავათმყოფობა. ექიმებს შეუმჩნევიათ, რომ ხშირათ გადადებია ერთი-მეორეს ავათ-მყოფობა ფულების, ცხვირსახოცის, ტანისამოსის და სხვათა ნივთებთა შემწეობით. ახლა გადავავლოთ თვალი იმ მიზეზ ბს, რომლის გამოც ამ გვარი ავათმყოფობა ჩნდება ხალხში. პირველი და უმთავრესი მიზეზი გახლავსთ ნიადაგის მოწამლვა სიბინძურით. ამასთან ტანსაცმელის და ოჯახეულობის სისუფთავე სიწმინდე ყოველთვის უკუმქცეველია ამ ზვარ ავათმყოფობისა. შემჩნეულია, რომ ამ გვარი სენი ყოველთვის მუსრავს და სწყვეტს დაბალ ხალხს. ანუ მას, ვინც ძლიერ ცოტას ზრუნვენ თავის სისუფთავეზედ. იშვიათად ბანაობენ, ირეცხავენ ტანსაცმელს, რის გამოც ტანი უჭუჭყიანდებათ და ტანისამოსი ესვრებათ. ეს არის მიზეზი იმ საძაგელი სიმყრალისა, რომლის გამოც ამ გვარ ბინძურ ხალხს გვერდში ვერ გაუვლით, რომ სუნმა არ შეგაწუხოსთ. ჯგუფ-ჯგუფათ ცხოვრება, ოჯახებში მყრალი და წამხდარი ჰაერი, ცუდი სასმელ საჭმელი და ბევრი კიდევ სხვები ამ გვარები პირველი გამავრცელებელ-

*) იხილე „მწყემსი" № 20, 1897 წ.

ნი არიან შავი ჭირის. ამასთან მოწამლული ჰაერი გადიტან-გადმოიტანს მტვერს ან და სხვა სამეს და ამით ვრცელდება გარშემო არემარეში. შავი ჭირის ბაცილები, ბლომათ იმყოფებიან ქარიდგან აღებულ მტვერში, რომელიც ძრიელ ადვილათ უცვივა ხალხს პირში და იწამლებიან. ამისათვის საშიშოა, არამც თუ მიკარება ამ ჭირით მკვდრის გვამისა, არამედ უკან გაყოლაც განსვენების დროს. თუ გაფრთხილებით იცხოვრებთ ამ დროს, და ვისგანმე არ გადაგედებათ ეს ავათმყოფობა, ისე ჰაერით, დარწმუნდით, რომ არასოღეს არ მოიწამლებით.

ბევრი მაგალითები გვინახავს იმისა, რომ მორიდებით და გაშორებით ეს სენი თავიდგან აუშორებიათ. მაგალ. 1881 წელს, როდესაც მოსკოვის ქალაქში ეს სენი მძვინვარებდა, საიმპერატორო ობოლთა სახლი სავსე იყო შეგირდებით, რომლების რიცხვიც 1200 კაცს აღემატებოდა, მაგრამ რადგან იქ შესვლა გარეშე პირთა აღკრძალული იყო და აგრეთვე იქიდანაც არვის უშვებდენ გარეთ—არც ავათ ვინმე გამხდარა ამ სენით. მაშ, საჭიროა შევიტყოთ საიდგან უჩნდება ადამიანს ეს სენი? რასაკვირველია, როგორც შემჩნეულია მეცნიერებიდგან ეს სენი მაშინ გადაედება ადამიანს, თუ ტანზედ რაიმე გაფხაჭული, ანუ კან გადამძვრალი ადგილი ექნება, და ან ჩასუნთქვის დროს იწამლება შავი ჭირის ბაცილებით სავსე ჰაერით. ახლა გეკითხებით, რანაირად უნდა მოიქცეს ადამიანი შავი ჭირის მძვინვარების დროს? ნუ თუ სასოწარკვეთილებაში უნდა ჩავარდეს და სთქვას, რომ «ეს არის ჩვენი უკანასკნელი ჟამიც მოახლოვდა, უნდა ყველანი დავიხოცოთო“, არა, შეშინებით, არასოდეს არ უნდა შეგეშინდესთ, რადგან შიში ჭირზედ უარესია ამ შემთხვევაში. შიშისაგან ადამიანი ისე იკარგება, რომ ხან-დის-ხან თავის შველის მაგიერ, პირდაპირ სიკვდილს უარდება ხელში და ხდება მისი მსხვერპლი. შიშისა გამო მისი აგებულობა თანდათან სუსტდება და სენიც ამ შემთხვევაში უფრო მაგრათ იდგამს ფესვს და უსპობს სიცოცხლეს. შიში და შავი ჭირი ორივე მეგობრები არიან, ისინი ორივენი ერთად მოქმედებენ ადამიანზედ და უსპობენ სიცოცხლეს. ამისთვის უმჯობესია, რომ შიში თავიდგან მოიშოროთ და მაშინ მარტო ერთ მტერთან—შავ-ჭირთან, ბრძოლა უფრო ადვილიც და შესაძლებელიც იქნება. უწინდელს დროში შავი ჭირი ამ გვარ შიშის ზარ-დაცემით უსპობდა ბევრს სიცოცხლეს და ერთი ადგილიდგან მეორეში თავისუფლად გადადიოდ-გადმოდიოდა, ვერსად მოწინააღმდეგეს ვერ ხედავდა. ხალხმა არ იცოდა რა ექნა, მხოლოდ შეშინებულნი, უმეცრების გამო იდგნენ და შესჩერებოდნენ თავიანთ მეზობლების ხოცვა-ჟლეტვას. ეხლა კი სულ სხვაა. მართებლობა დარწმუნდა, რომ ერთი ამ სენის დამამხობელი და უკუმქცეველი ხალხის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესობა არის, ამისათვის მიაქცია ამ საგანს ყურადღება, შეჰკრა გზები, საიდგანაც ეს სენი შემოდის და მართებლობის ამნაირმა ყურადღებამ დღეს ისეთ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, რომ შავი-ჭირი ჩვენში სრულებით ისე საშიში არ არის, როგორც უწინდელ დროში იყო.

მაგალ. ხმა გავარდა, რომ ჩვენში შავი ჭირი შემოდისო, მაგრამ არამც თუ ჩვენში, რუსეთშიდაც არ შემოუშვიათ. თუმცა 1806 წ. შემოეპარათ სარატოვში, ზღვის ხომალდებზედ მოსამსახურე პირების შემწეობით, მაგრამ, მაშინვე შეიარაღდა მართებლობა მის წინააღმდეგ დი მოსპო კიდევაც. სულ 153 კაცი არ მომკვდარა ამ სენით, რომ მას სიცოცხლე მოუსპეს.

აგრეთვე სუსტი და ცოტა მავნებელი იყო შავი-ჭირი, რომელიც 1837 წ. კონსტანტინეპოლიდან შემოგვეპარა. ამ დროს ყოვლად გონიერმა და მამაშვილურმა მოქმედებამ თავ ვარანცოვისამ დაგვიხსნა გასაჭირისაგან. სასტიკი ყურადღება იყო მიქცეული, სანიტარულ მდგომარეობაზედ, ქალაქის და კერძო ოჯახების სისუფთავეზედ და ოთხი თვის განმავლობაში ისე გააქვრეს ეს სენი, რომ მისი ხსენებაც არსად არ ისმოდა. მან იმსხვერპლა მხოლოდ 108 სული მცხოვრები და ადესის ქალაქს აქეთ აღარ წამოსულა.

უკანასკნელად 1876 წელში კიდევ მოინდომა შავმა ჭირმა ჩვენკენ გამოსეირნება. მოულოდნელად გადმოვიდა პერსიიდგან და დაბინავდა ასტრახანის გუბერნიის ქალაქ ვეტლიანკაში. აქ საშინლად გამძვინვარდა და აქედან ახლო-მახლო სოფლებს და ქალაქებსაც გაუწვდინა ჭვანკები, მაგრამ ხალხმა იცოდა მასთან საბრძოლელი იარაღები, შეიარაღდენ ამ გვარათ და მისი მსვლელობა შესამჩნევლად შეამცირეს; ამას მართებლობაც დაეხმარა და სულ მოკლე დროში ეს სენი გააქარწყლეს. სულ გაწყვიტა ამ ქალაქში 359 სული 1700 მკვიდრთა შორის.

ასე რომ ჩვენს დროში შავი ჭირი სრულებით შესუსტებულია ევროპაში. ყოველთვის ვგებულობდით მის შემოპარვას და თავის დროსვე ვებრძოდით და ვუკუვაქცევდით. ვინ არ იცის, რომ ცეცხლი, სანამ გაძლიერდებოდეს, უფრო ადვილი მოსაქრობია, ვიდრე ალის ასვლამდის და გამძვინვარებამდის. მაგრამ ჩვენი სახლი თუ საშიშია ცეცხლის გაჩენის დროს, მაშინ ყოველ ღონის ძიებას ვხმაროობთ, რომ ის ცეცხლისაგან დავიფაროთ. ამ გვარს ხიფათს მხოლოდ მაშინ მოვიშორებთ თავიდგან, თუ რომ სახლს ისეთ მასალისაგან ავაშენებთ, რომელსაც ცეცხლი ვერაფერს ვერ დააკლებს. სწორეთ ამ გვარათ შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს გადამდებ ავათმყოფობის გავრცელება და ხალხის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესობა. მართებლობას ძლიერ ბერი ხარჯი მოსდის ამ გვარ სენის საბრძოლველად. მაგ. ჩვენ ვიცით, რო ახლანდელი შავი ჭირი ინგლისში ორი თუ სამ ავათმყოფის შემოსვლის გამო გაჩნდა, მაგრამ რადგან ყველგან სიწმინდე, ფაქიზობა და საბრძოლველად დამზადებულნი დახვდნენ, მეტი განვითარების ღონის ძიებაც ვერ მოიპოვა და მაშინვე მოისპო.

ახლოს მდებარე ნაგავი, და ყოველ გვარ სიბინძურეს ისეთაც მავნებელი და საზარალოა, რადგან ამ ნაგავს ესევა სხვა და-სხვა ბუზები, ჩნდება ჭიაჭუები, რომლებიც ამ სიბინძურეს ერთი ადგილიდგან მეორეზედ გადიტანებენ ან ფეხებით, ან ფრთებით და ან ტანზედ კბენის დროს შხამავენ ხალხს, განსაკუთრებით ყმაწვილებს, რომლების ტანის კანიც უფრო ნაზი და მოთხელოა, ვიდრე დიდებისა. ამ გვარ ბუზების და ჭიების შემწეობით ვრცელდება ყოველი გადამდები ავათმყოფობანი. ამაში თითქმის ყველანი დარწმუნებულნი ვართ. ამასთან წმინდა ჰაერს ძრიელ დიდი მნიშვნელობა აქვს კაცის აგებულობის საზრდოობაში. ამ დროს ჰაერიც მოწამლულია ამ სიბინძურით და მოწამლული ჰაერი, როგორც მოგვეკარება, ისე ჩვენც ვიწამლებით და ვხდებით ავათ ამ სენით. ამისთვის საჭიროა, რომ უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ ოჯახში ჰაერის სისუფთავეს, არ უნდა დაწვეთ ერთ ოთახში ბევრი, რომ ჰაერი არ წახდეს და მოიწამლოს, ამასთან ჰაერას მოძრაობისათვის საჭიროა ოთახებში გააკეთოთ ვენტილიაციები, ესე იგი ისეთი მოწყობილი ფანჯარა, რომელშიდაც სინათლეს გარდა ჰაერიც შედიოდეს და გამოდიოდეს თავისუფლად. უამისოთ ყოველთვის ავათმყოფობა უფრო მეტს მსხვეპლს შეიწირავს იქ, სადაც უფრო ცუდად სცხოვრებენ, ვიდრე სხვაგან.

ამ ზემორე ნათქვამიდან ადვილი გასაგებია, თუ რასი უნდა გვეშინოდეს ჩვენ შავი ჭირის გაჩენის დროს! საშიშო ამ შემთხვევაში ის არის, რომ როდესაც ეს ჭირი ჩვენში შემოვა, იმის გასავრცელებლად ნიადაგი არ უნდა ექნეს დამზადებული, თორემ, თუ ერთხელვე დაიბუდა, შემდეგ მისი მოშორება ძრიელ ძნელი შეგვექნება. ჩვენი ქვეყანა, როგორც თავის სიბინძურით, აგრეთვე ჰაერით და ბუნებით დიდათ სატრფიალო ქვეყანად ითვლება შავი ჭირისათვის და ყოველს ღონის ძიებას ხმაროობს ამ ქვეყანას ეწვიოს, რადგან მისი მდებარეობა თვითანვე იზიდავს. ჩვენ ვიცით, რომ 1798 წელს, საქართველოში შავი ჭირი შემოვიდა და 50 წელიწადზედ მეტი მძვინარებდა და ბუდობდა ჩვენში.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ შავი ჭირის მოლოდინის დროს? ჩვენი მართებლობა თუმც ძრიელ ფრთხილად ეკიდება ამ საქმეს, ჰკეტავს შემოსასვლელ კარებს, მაგრამ ისე შეუმჩნევლად შემოგვეპარება ეს სენი და ამოყოფს ჩვენს შორის თავს, რომ ჩვენც ვერ გავიგებთ საიდგან და რა ნაირად გაჩნდაო. აი, ამისათვის არის საჭირო, რომ ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი ცხოვრება ჩვენვე უნდა მოვაწყოთ წმინდათ, ფაქიზათ და მოხერხებულად, რომ თუ ვინიცობაა გაჩნდა ეს ჭირი, ღონისძიება გვექნეს ვებრძოლოთ და მალე მოუსპოთ მას სიცოცხლის დღენი. ერთი სიტყვით ყოველ გვარ ტანისამოსის და ქვეშაგებ ზედ სახურავის სისუფთავეს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება და რომ ეს სენი თავიდგან ავიშოროთ და ხალხის ტანმრთელობაც ხელ-უხლებელი შეიქმნეს ამ გვარ სენისაგან, ვალდებული ვართ შევასრულოთ შემდეგი სანიტარული და გიგიენური დარიგებანი:

1) უნდა გააშროთ თუ ახლო-მახლოს ტბები ანუ ჭაობები იმყოფებიან.

2) გასწმინდოთ ეზოები და ქუჩები მტვერისა და ნაგავისაგან და მუდამ ეცადოთ, რომ არ გაანაგავიანოთ. ეცადეთ, რომ ეზოებში და ქუჩებში მკვდარი კატა ან ძაღლი არ ეგდოს და ან სხვა რიიმე ნაგავით არ აივსოს; ამ გვარი ცხოველების ძორი უნდა შორს გაიტანოთ და მიწაში ჩამარხოთ ისე

ღრმათ, რომ იქედგან სუნი არ ამოვიდეს და გარშემო ჰაერი არ მოწამლოს თავის სიმყრალით. ნაგავი და ყოველ-გვარი სხვა უწმინდურებანი სამი ვერსის სიშორეზედ უნდა გაიტანოთ და იქ მიწაში ჩამარხოთ ნახევარ არშინის სიღრმეზედ და მშრალი მიწა მიაყაროთ 3) ეცადათ, რომ ოჯახში ბევრმა მტვერმა არ მოიყაროს თავი, გაწმენდის დროს სოველი ტილო დაიკავეთ ხელში და ისე გასწმინდეთ მტვერიანი საგნები, ან და ჯერ მორწყევით ოთახი წყლით და მერმეთ ისე დაგავეთ, რომ ჰაერი არ მოიწამლოს მტვერით.

ჯანმრთელობის დაცვა ხანში შესულებისთვის.

უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, რომ თბილად ჩაიცვან, რადგანაც 50—60 წლოვანობაში მცირე სიცივეც-კი კაცს მეტათ ავნებს ხოლმე. ერთი სიტყვით, სიცივე არის უპირველესი მტერი ადამიანის ღონიერობისა, რადგანაც ეხლანდელი ტანისამოსი ისეთია, რომ გულ-მკერდი ხშირად პერანგის სანაბარათ არის, ურიგო არ იქნება, რომ სიცივეში კისერზე შემოიხვიოთ აბრეშუმის ყელ-სახვევი, რომლის ბოლოები გულ-მკერდსაც კარგათ დაჰფარავს. გარდა ამისა, აუცილებლათ საჭიროა მიჩვევა ცხვირით სუნთქვას, დარშიაც, ავდარშიაც და ძილშიაც-კი. კარგია აგრეთვე ცივ წყალში ბანების მიჩვევა; ეს ასე შეგიძლიანთ დაიწყოთ: პირველათ მხოლოდ ცივ წყალში დასველებული ხელი მოისვით ხოლმე მთელ ტანზე, რაც შეიძლება საჩქაროთ, შემდეგ ჩაიცვით და მაშინვე გასწიეთ სასეირნოთ, 20—30 წამით, რომ არ გაცივდეთ (სიარულში არას დროს არ გაცივდებით), როცა ამგვარათ საკმაოთ მიეჩვევით ცივ წყალში ბანებას, მაშინ თვითონ წყალშიაც შეგიძლიანთ იბანოთ, მაგრამ შიგ 2—3 წამზე მეტი არასოდეს არ დარჩეთ და რომ ამოხვალთ, საჩქაროთ უნდა ჩაიცვათ (პირდა-პირ შეუმშრალებლათაც შეიძლება) და 20—30 წამით სასეირნოთ წახვიდეთ და იაროთ, სანამ კარგათ არ გათბებით.

შენობათა აგურის და ხის კედლების და სხვა ნაწილების გალესვა ავდრისა და სინესტისაგან დასაფარათ. აიღეთ ნახევარი ფუთი ჰაერზე დაშლილი კირი, 14 გირვანქა ხის ნაცარი და 7 გირვანქაც წმინდა ქვიშა; ყველა ეს გასცერით წმინდა საცერში და აზილეთ იმდენ სელის ზეთში, რომ ჩვეულებრივი სისქის საღებავი გამოვიდეს. ასე მომზადებული წამალი წაუსვით აგურის კედლებს და მის ხის ნაწილებს ორჯერ; პირველი წასმისათვის თხელი გააკეთეთ, ხოლო მეორეთ წასმისათვის კი უფრო სქელი.

ასტრონომი ფალბის წინასწარმეტყველება. ლეიპციგის ცნობილი ასტრონომი ფალბა იწერება, რომ 1899 წელს, გიორგობისთვის 13 ან 14 თუ 15-ს, დედამიწა უნდა შეხვდეს კუდიან ვარსკვლავსაო და ჩვენ ვიხილავთ მშვენიერ სურათსო: 13-დან ვიდრე 15 ნოემბრამდე, ღამის ორი საათიდან ხუთამდე, ისეთი დენა იქნება ვარსკვლავებისაო, გეგონებათ ცეცხლის თოვლი მოდისო.—1899 წელი შორს აღარ არის: ვიცოცხლოთ და ვნახოთ...

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ ჟურნალში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი ეკკლესიის სასარგებლოდ შეწირულებათა გამოსაცხადებლად:

მ. რ! უმორჩილესათ გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივც. ჟურ. «მწყემს»ში. რწმუნებულს ჩემდამო სოფლის ჭართლის (დუშეთის მაზრაშია) წმიდის გიორგის ეკკლესიაზე არის ზედ მიწერილი ეკკლესია სოფელს დოლასქედზე. ეს ეკკლესია ამ ერთი წლის წინათ მთავრობის განკარგულებით დაიკეტა, რადგან კედლები დაირღვა. ამ წელში ხსენებული ეკკლესიის მაგიერ ახალი ეკკლესიის აღშენება განიძრახა ამვე სოფელში მცხოვრებელმა გლეხის იგივე მამუკა აფციაურის ქვრივმა მარიამ ბეჟანის ასულმა თავისი ქმრის მოსახსენებელათ. ამ მიზნისათვის მან შესწირა 1200 მანეთი და როგორც მთავრობიდამ მივიღეთ ნებართვა, მაშინვე შეუდგით საქმეს და ნახევარზე მეტი შენობა უკვე დასრულებულია. გარდა ამის ხსენებული მარიამ აფციაური გვპირდება ამ ეკკლესიის შიგნით ყველაფრით მორთვას საკუთარის ხარჯით. ეს ეკკლესია აუცილებელათ საჭიროა სამოცდა ათი კომლამდე მცხოვრებთათვის, რომელნიც დიდ მადლობას სწირვენ ხსენებულ პირს ამ ფრიად კეთილი საქმისათვის.

ქარ. წმ. გ. ეკ. შტ. მღ. საჩინო კობახ ძე.

განცხადებანი.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოვა 1898 წელში ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

„კვალის“ ხელმძღვანელობას და რედაქციის მართვა-გამგეობას 1 იანვრიდან 1898 წელს იკისრებს ბ. ნოე ჟორდანია.

გაზეთი წლიურად ეღირება გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან., გაგზავნით 2 მან. 50 კ. თითო ნომერი სამშაურათ. ხელისმომწერლებს წლის ფული შეუძლიათ გაჰოგზავნონ ნაწილ ნაწილათ.

ამ წლის გასულს დაურიგდებათ პრემია „ჩვენი ძველი გმირები“ 1896 წლის იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც წლის ფული სრულიად აქვთ შემოტანილი.

მიიღება ხელის-მოწერა 1898 წლისათვის თვიურ საყმაწვილო ნახატებიან ჟურნალ

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 12 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ. ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და საგარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

1898 წლის ხელისმომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ ნახატებიანი წიგნი «ალბომი» ცხოველთა ცხოვრებიდან.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ეღირება—4 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1. თბილისში — «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул., д. земель. банка № 102), ქართულ სახალხო სამკითხველოში (д. зем. банка № 32), და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).
2. ქუთაისში—ეს. ბერეანეიშვილთან.
3. ბორში—არ. კალანდაძესთან.
4. ჭალათურაში—ბ. ოთხმეზურთან.
5. სოღნაღში—ივანე ქიტიაშვილთან.
6. საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.
7. ელისავეტპოლში—ა. მაქაბერიძესთან.
8. თელავში—ივ. ჩიბალაიშვილთან.
9. ოზურგეთში—დარია ქავთარაძისასთან.
10. ფოთში—ი. კოხრეიძესთან.
11. ხაშურში—გენ. მეგრელთან.

ფოსტის ადრესი: въ Тифлисъ, въ редакцію груз. дѣтскаго жур. «Джеджили». 3—1

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-წერეთელისა.

მიიღება ხელის მოწერა 1898 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

მოამბე“-ზედ

(V წ.)

გამოვა იმავე პროგრამით.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.ნ.	1 წლით . .	13 მან.
6 თვით	6 »	6 თვით . .	7 »
3 თვით	4 »	3 თვით . .	5 »

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვარამდე 4 მან. 1 აპრილამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელს-მოწერის მიღებას, შეეძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კომისიისა და ფულის გამოგზავნ სთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქმნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის მოწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკის ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «МОАМБЭ».

რედაქციამ მიიღო ბოლოდ

სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაეთმობა რვა მანეთად წელიწადში. ვისაც რვა მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მ. შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში. 3—1

„ИВЕРІЯ“

1898 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თთვით	9 მ. 60 კ.	6 »	6 მ. » კ.
11 »	9 » 50 »	5 »	5 » 50
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75
9 »	8 » — »	3 »	3 » 50
8 »	7 » 25 »	2 »	2 » 75
7 »	6 » 50 »	1 »	1 „ 50

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «იბერია» მთელის წლით დეთმობათ 8 მან.

თბილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგს ადრესით:

Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ИВЕРІЯ“

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქ გარეთიდან სხვა ადგილს გადავიდა საცხოვრებელად, ქალაქს გარეთ უნდა წარმოგზავნოს 40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელს წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდათ

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კ. პირველზე—16 კ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპოდენციები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთია თვეა გონმაელობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს, ხოლო წერილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა გვარს ბიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილებს შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე. 3—1

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე. 21

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: მოკლე ანგარიში რედაქციისაგან.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში 17, 18, 19 და 20 ნოემბერს.—კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრება.—„მწყემსის“ კორრესპონდენცია ვლადივოსტოკიდან.

საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: შავი ჭირი და მისი მოლოდინი.—ჯან-მრთელობის დაცვა ხანში შესულებისათვის და სხ.

— შეწირულება და განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 ноября 1897 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананових, на Нѣмецкой ул.